

საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების დანართი N20 – Digipass

1. **Digipass**-ის მომსახურების ფარგლებში, **Digipass**-ის მოწყობილობის გამოყენებით, **კლიენტს** შესაძლებელია მიეწოდოს **ერთჯერადი კოდები**, რომელიც შეიძლება **კლიენტმა** გამოიყენოს **ბანკისგან** სხვადასხვა **საბანკო მომსახურებების** მიღების პროცესში.
2. **ბანკი კლიენტს სთავაზობს** ორი სახის **Digipass**-ის მოწყობილობას: მატერიალური ფორმის მოწყობილობას და პროგრამულ მოწყობილობას - მობილური აპლიკაციის სახით. **კლიენტს** საშუალება არ აქვს ერთდროულად ისარგებლოს ორივე სახის **Digipass**-ის მოწყობილობით.
3. **Digipass**-ის მატერიალური ფორმის მოწყობილობა **კლიენტს** გადაეცემა **სერვის-ცენტრში**, ხოლო **Digipass**-ის პროგრამული მოწყობილობის - მობილური აპლიკაციის გააქტიურება, **კლიენტს** შეუძლია შესაბამისი აპლიკაციის მობილურ ტელეფონში ჩამოტვირთვით.
4. ერთი **კლიენტი** შესაძლებელია ფლობდეს **Digipass**-ის მატერიალური ფორმის რამდენიმე მოწყობილობას, თუმცა **Digipass**-ის მატერიალური ფორმის ერთი მოწყობილობა შესაძლებელია გადაეცეს მხოლოდ ერთ **კლიენტს**.
5. ერთ მობილურ ტელეფონში ჩამოტვირთული **Digipass**-ის მობილურ აპლიკაციას ნებისმიერ დროს შეიძლება დაუკავშირდეს სხვა **კლიენტის** რეკვიზიტები, თუმცა **Digipass**-ის მობილური აპლიკაციისთვის აქტიური იქნება მხოლოდ ბოლოს დაკავშირებული **კლიენტი** და შესაბამისად, **Digipass**-ის მობილური აპლიკაციის, გამოყენებას შეუძლებს მხოლოდ მასთან ბოლოს დაკავშირებული **კლიენტი**.
6. **Digipass**-ის მატერიალური ფორმის მოწყობილობის დაკარგვის შემთხვევაში **კლიენტი** ვალდებულია დაუყოვნებლივ მიმართოს **ბანკს**, მათ შორის **ინტერნეტ ბანკის** საშუალებით **Digipass** -ის მატერიალური ფორმის მოწყობილობის დასაბლოკად.
7. **Digipass**-ის მატერიალური ფორმის მოწყობილობის ნებისმიერი ფორმით დაზიანების შემთხვევაში, **კლიენტი** ვალდებულია დაუბრუნოს **ბანკს Digipass**, ხოლო **Digipass**-ით სარგებლობის გაგრძელების სურვილის შემთხვევაში **კლიენტმა** უნდა შეიძინოს ახალი **Digipass**.
8. **Digipass**-ის მობილური აპლიკაციის გასააქტიურებლად სავალდებულოა **ერთჯერადი კოდის** შეყვანა **Digipass**-ის მობილური აპლიკაციაში.
9. **Digipass**-ის მობილური აპლიკაციით სარგებლობა **კლიენტს** შეუძლია, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ (მათ შორის როუმინგის გააქტიურებისა და ინტერნეტთან წვდომის გარეშე).
10. **Digipass**-ის მობილური აპლიკაციის გააქტიურება ავტომატურად გამოიწვევს **Digipass**-ის მატერიალური ფორმის მოწყობილობის დეაქტივაციას, რომლის ხელახლა აქტივაცია, შესაძლებელია თუ: ა) **კლიენტი** ადგილზე ფიზიკურად წარადგენს **Digipass**-ის მატერიალური ფორმის მოწყობილობას **სერვის-ცენტრში** და ბ) შესრულდება **Digipass**-ის მობილური აპლიკაციის დეაქტივაცია.
11. **Digipass**-ის მობილური აპლიკაციის დასაბლოკად **კლიენტმა** შესაძლებელია მიმართოს ნებისმიერ **სერვის-ცენტრს**.

12. მობილური ტელეფონის შეცვლისას, გასხვისებისას ან სხვაგვარად მისი მფლობელობიდან გასვლის შემთხვევაში, **კლიენტი** ვალდებულია მობილური ტელეფონიდან წაშალოს **Digipass**-ის პროგრამული მოწყობილობა (მობილური აპლიკაცია).
13. **Digipass**-ის (მობილური აპლიკაციის მობილური ტელეფონიდან წაშლისა და ახლიდან გადმოწერის შემთხვევაში, **კლიენტმა** ხელახლა უნდა შეასრულოს **Digipass**-ის მობილური აპლიკაციის აქტივაცია, **ბანკის** მიერ დადგენილი წესებით.